ჰერა HERA XXI

ჯანმრთელობა განათლება უფლებები ალტერნატივა

HEALTH EDUCATION RIGHTS ALTERNATIVE

ადრეული ქორწინების გამომწვევი მიზეზები

(სამცხე-ჯავახეთი)

2014

შესავალი

დაბადება, ქორწინება და გარდაცვალება– მსოფლიო მოსახლეობის დიდი ნაწილის ცხოვრების სტანდარტულ/ განუყოფელ კომბინაციას წარმოადგენს. თუმცა აღსანიშნავია, რომ მათგან ადამიანს მხოლოდ ქორწინების არჩევის შესაძლებლობა აქვს. ქორწინების უფლება პირდაპირ უკავშირდება ადამიანის თავისუფალ ნებას და მთელ რიგ ფუნდამეტურ უფლებებს აერთიანებს .

ყველა ადამიანს აქვს უფლება თავად განსაზღვროს თავისი მომავალი, აირჩიოს პარტნიორი და დაგეგმოს საკუთარი ცხოვრება.

საერთაშორისო შეთანხმებებითა და ქართული კანონმდემლობის მიხედვით ქორწინების მინიმალურ ასაკად მიჩნეულია 18 წელი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის თანახმად, „ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან. 16 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინება ნებადართულია მშობლების ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით. თანხმობაზე მშობლების ან მზრუნველის მიერ უარის თქმის ან თანხმობის მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, პატივსადები მიზეზების არსებობისას, დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე დაქორწინების ნებართვის გაცემა შეუძლია სასამართლოს“.[1]

ადრეული ქორწინება არასრულწლოვანთა(ან თუ ერთ-ერთი არასრულწლოვანია) ოფიციალურ თუ არაოფიციალურ კავშირს წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში არასრულწლოვნები ქორწინების გადაწყვეტილებას იღებენ დაუგეგმავად, ფსიქო –სოციალური სიცარიელის შევსების სურვილით.

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31702&lang=ge

ადრეულ ასაკში ქორწინება, გოგონათა უფლებების დაცვის სფეროში ერთ-ერთ მოუგვარებელ საკითხად რჩება, არამხოლოდ საქართველოს სინამდვილეში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. საერთაშორისო მიდგომები გვიჩვენებს, რომ გოგონა-ბავშვების ადრეულ ასაკში ქორწინება არ წარმოადგენს მხოლოდ კერძო პირებს შორის არსებულ ურთიერთობას, და რომ აღნიშნული ფაქტი საჯარო ინტერესის მატარებელია. მნიშვნელოვანია, მთელმა საზოგადოებამ გავითავისოთ ის პასუხისმგებლობა, რაც ყოველწლიურად ათასობით არასრულწლოვანთა ადრეულ ასაკში ქორწინებას, მათ მიმართ არსებულ ძალადობას უკავშირდება.

კვლევის მოკლე მიმოხილვა

რამდენად ხშირია ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევები? აღიქმება თუ არა„ადრეული ქორწინება’’საზოგადოების მხრიდან პრობლემად?რა არის ის ძირითადი ფაქტორები რაც განაპირობებს არასრულწლოვნების მიერ ოჯახის შექმნის მაღალ მაჩვენებელს? როგორია მშობელთა დამოკიდებულება შვილების თავისუფალი ნების მიმართ? ფლობენ თუ არა დაოჯახებამდე არასრულწლოვნები რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ რაიმე სახის ინფორმაციას? როგორია კონტრაცეპტივების თანამედროვე მეთოდებზე ხელმისაწვდომობა რაიონებში? მოცემულ კითხვებზე პასუხის გასაცემად არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰერა XXI’’- ის მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა ახალციხის რაიონში. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა ***85 რესპოდენტი.***

კატეგორია	ფოკუს ჯგუფი	რესპოდენტთა რაოდ.	სქესი	ასაკი
მშობლები/მასწავლებლები	*#1, #2,#3*	*12,8,9*	*მდედრობითი*	*25-60*
ადრეულ ასაკში დაოჯახებულები	*#4,#5,#6*	*8,6,5*	*მდედრობითი*	*19-40*
ახალგაზარდა დაუოჯახებელი გოგონები	*#7,#8,#9*	*10,5,5*	*მდედრობითი*	*14-22*

გარდა ფოკუს ჯგუფებისა, ინტერვიუს რეჟიმში გავესაუბრეთ ფსიქოლოგს(1), გინეკოლოგს(1) და ჩატარებულ იქნა ქუჩის გამოკითხვა(15 რესპოდენტი)

ოფიციალური მონაცემებით, 2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის 14იანვრამდე საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში 7367–მა გოგონამ შეწყვიტა განათლების მიღება საბაზო საფეხურის (7–9 კლასები) დასრულებამდე. საქართველოს სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის განცხადებით, განათლების სისტემიდან ბავშვთა გადინებას ძირითადად

ადრეული ქორწინება განაპირობებს.[2] ამას ემატება, ისიც, რომ მრავალი შემთხვევა სტატისტიკის მიღმა რჩება.
პრობლემის არსებობა მთელი სიცხადით, დაგვანახა ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა. (თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში არასრულწლოვანმა გოგონამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა ქორწინების თავიდან აცილების მიზნით)
ასოციაცია "ჰერაXXI"-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა,რომ არც სახელმწიფო უწყებებისა და არც საზოგადოების მხრიდან ადრეული ქორწინება სერიოზულ პრობლემად არ არის აღქმული. საყოველთაო უმოქმედობის შედეგად კი, პერმანენტულად ხდება არასრულწლოვნთა უფლებების შელახვა.

გთავაზობთ ჩატარებული კვლევის ანალიზს :

[2] ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში
http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/86.pdf

ადრეული ქორწინების გამომწვევი მიზეზები

მაგ. ახალციხის ერთ–ერთ სკოლაში, ერთ–ერთ კლასში წლის განმავლობაში 4 დაოჯახების შემთხვევა დაფიქსირდა. სკოლის მასწავლებლის პასუხი კითხვაზე, თუ რამდენად აქტუალურია დღეს „ნაადრევი ქორწინება" მათ რაიონში, იყო ის რომ სკოლიდან დაოჯახების შემთხვევებმა იკლო და ეს საკითხი მათ რაიონში პრობლემას აღარ წარმოადგენს.

კვლევის ფარგლებში რესპოდენტებს დაესვათ კითხვა, თუ რამდენად აქტუალურია ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნის საკითხი მათ რაიონში. პასუხები რეალობისაგან განსხვავებული აღმოჩნდა. საზოგადოებისათვის ადრეული ქორწინება ჩვეულებრივ, ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცა. უმეტეს შემთხვევაში არ არის გააზრებული ის პასუხისმგებლობა, რომელიც საზოგადოების თითოეულ წევრს აკისრია.

განსხვავებულია მიდგომები და განსხვავებულია ის მიზეზები, რომლებიც განაპირობებს ადრეული ქორწინების მაღალ მაჩვენებელს.

არასრულწლოვანთა დაოჯახების გამომწვევი მიზეზების გამოსავლენად კვლევაში მონაწილე რესპოდენტებს დაესვათ კითხვები, რომელთა პასუხების ანალიზმა აჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევაში ოჯახები იქმნება:

1) პირადი სურვილით

ა) სქესობრივი კავშირის დამყარებისა და სოციალური სტიგმის თავიდან აცილების მიზნით

ბ)ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით

გ)მიმბაძველობით

2)იძულებით

ა)ეკონომიკური ტვირთისგან გათავისუფლების მიზნით

ბ)ტრადიციებიდან გამომდინარე.

1. ქორწინება - პირადი სურვილით

,,რატომ უჩნდებათ ოჯახის შექმნის სურვილი არასრულწლოვნებს?''- კითხვა დასმულ იქნა 3-ივე კატეგორიის ფოკუს ჯგუფში. გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი ფაქტორი:

ა) ქორწინება სქესობრივი კავშირის დამყარებისა და სოციალური სტიგმის თავიდან აცილების მიზნით

საქართველოში ,,ადრეული ქორწინების" გამომწვევი მიზეზები უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია *დამკვიდრებულ სტერეოტიპებზე, ტრადიციებზე, ეთნიკურ, რელიგიურ და რეგიონალურ ფაქტორებზე.*

> 15 წლის პაციენტი მყავს, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადება გადაედო პარტნიორისგან და ახლა ვმკურნალობ. დედასთან ერთად დადის, რომელიც ფიქრობს რომ მის შვილს გაციების შედეგად წარმოშობილ პრობლემა აქვს. ბავშვმა მთხოვა საიდუმლოდ შემენახა სიმართლე და რომ მალე მისი პარტნიორი დაბრუნდება ჯარიდან და იქორწინებენ (გინეკოლოგი)

გამოკითხულ რესპოდენტთა 70 % მიიჩნევს, რომ ნაადრევი ქორწინების მთავარ პრობლემას სქესობრივი პარტნიორის ყოლის სურვილი წარმოადგენს. ტრადიციებისა და მენტალიტეტის გათვალისწინებით ისინი ცდილობენ ოჯახის შექმნით თავიდან აიცილონ სოციალური სტიგმა და სქესობრივი კავშირის დამყარების სურვილი ოფიციალურად, ქორწინებით დაიკმაყოფილონ.

კვლევის ფარგლებში რესპოდენტთა პასუხების ანალიზიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ 14-16 წლის არასრულწლოვნები ქორწინებას საზოგადოებისგან „დამცავ ფარად" იყენებენ,ცდილობენ

სქესობრივი კავშირის დამყარების შემდეგ ქორწინებით აირიდონ საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება.

ნაადრევ ქორწინება, გარდატეხის ასაკში ჰორმონალური სიჭარბის ფონზე მიღებულ გაუაზრებელი გადაწყვეტილებაა (ფსიქოლოგი)

დაოჯახებული რესპოდენტების 90 %-ის თქმით ისინი თავიანთი სურვილით/სიყვარულით დაოჯახდნენ და არ ნანობენ ამ გადაწყვეტილებას. ამავდროულად, შეხვედრის ბოლოს დასმულ შეკითხვაზე, „ისურვებდნენ თუ არა, მათი შვილის ადრეულ ასაკში დაოჯახებას?“ სრული უმრავლესობა გვპასუხობს რომ არა, და რომ ყველანაირად ხელს შეუშლიან შვილის გადაწყვეტილებას.

ფაქტია, რომ რესპოდენტები არ არიან გულწრფელნი და ისინი არ საუბრობენ მთავარ მოტივზე, რამაც ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნა გადააწყვეტინათ.

ბ) ქორწინება ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით

ქორწინებას შესაძლებელია ჰქონდეს სტრატეგიული მიზანი ეკონომიკური გადარჩენისთვის. როგორც წესი ამას რესპოდენტები არ აღიარებენ და ცდილობენ დამალონ დაოჯახების რეალური მიზეზი.

“ ჩემი კლასელი გათხოვდა 16 წლის ასაკში. ოჯახში 7–ნი იყვნენ ძალიან უჭირდათ და სულ პრობლემები ჰქონდათ” ნინო 16 წლის

დაოჯახებულ რესპოდენტთა 70% მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდა,სადაც დასაქმებულთა მაქსიმალური რაოდენობა 2

ადამიანია და შემოსავლის წყარო ძირითადად სოფლის მეურნეობაა. შედარებით უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობა აქვთ მათ მეუღლეებს, რომელთა ასაკი უმეტეს შემთხვევაში აღემატება გოგონათა ასაკს.

გ) ქორწინება თანატოლთა მიმბაძველობით

როგორც ფსიქოლოგმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, 14-16 წლის ასაკში არასრულწლოვნებს გამძაფრებულად აქვთ სიახლის დაგემოვნების სურვილი და ცდილობენ ერთმანეთს მიბაძონ ნებისმიერი მოქმედების განხორციელებაში. ახალციხის სკოლის მასწავლებლების თქმით, ხშირად ბავშვები თანატოლთა მიბაძვით ქმნიან ოჯახებს.

ფაქტია, რომ არასრულწლოვანთა ქორწინება უარყოფით გავლენას ახდენს სხვა ბავშვებზე და თითოეული შემთხვევა ქმნის ადრეული ქორწინების რიცხვის ზრდის საფრთხეს. გარდატეხის ასაკი რთულ პერიოდს წარმოადგენს მოზარდებისათვის. ფსიქოლოგის თქმით, ამ დროს ისინი ცდილობენ თვითდამკვიდრებას და სურთ მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზება საზოგადოებაში. ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება და არასრულწლოვანთა მიმართ სწორი მიდგომაა საჭირო. აუცილებელია სახელმწიფომ, სკოლამ, მშობლებმა, და ზოგადად საზოგადოებამ გაითავისოს დაკისრებული პასუხისმგებლობა და საკუთარი როლი.

2. ქორწინება - იძულება

ქორწინება წარმოადგენს შეთანხმებას, რომელიც დაშვებულია მხოლოდ მექორწინე მხარეთა თავისუფალი ნებითა და სრული, გააზრებული თანხმობით. მიუხედავად ამ წესისა, არასრულწლოვნებს ხშირად შერჩეულ პარტნიორზე, საკუთარი ნების გაუთვალისწინებლად აქორწინებენ. განსხვავებულია მიზეზები და განსხვავებულია იძულების ფორმა. კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა 80% იძულებად არ მიიჩნევს სიტყვიერ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას.

" მე თავად ვიყავი ინიციატორი ჩემი 17 წლის შვილის გათხოვების. იგი, რამოდენიმეჯერ მანქანაში ჩაუჯდა ბიჭს რომელსაც მოსწონდა და სოფელში რას იტყოდნენ?! არ უნდოდა გათხოვება, მაგრამ არჩევანის წინაშე დავაყენე. " მშობელი 35 წლის

ფსიქოლოგი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ მშობელს ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა არასრულწლოვანზე გარკვეულ ასაკამდე შეუძლია. ხშირ შემთხვევაში ეს ასაკი ემთხვევა იმ ასაკს, როდესაც მშობლები შერჩეულ პარტნიორს სთავაზობენ ბავშვს და „გარიგებას" მისგან დამოუკიდებლად აწარმოებენ.

ა) იძულებითი ქორწინება ეკონომიკური ტვირთისგან გათავისუფლების მიზნით

როგორც შესავალში ითქვა, იძულებით ქორწინების გამომწვევი მიზეზები სხვადასხვაა. ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ე.წ "სარფიანი გარიგებები" წარმოებული მშობელთა მიერ.

რესპოდენტები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ ძირითადად პერიფერიულ ადგილებში მცხოვრები, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში მყოფი მშობლები ცდილობენ ”ეკონომიკური ტვირთისგან” გათავისუფლებას და საკუთარი ნებისგან დამოუკიდებლად ათხოვებენ არასრულწლოვნებს. კვლევის ფარგლებში დასმულ კითხვაზე : *“მრავალშვილიანი ოჯახის შემთხვევაში, როდესაც მშობლებს არ აქვთ სახსრები სათანადო საცხოვრებელი პირობები შეუქმნან თავიანთ შვილებს, რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ მათი ინიციატივით არასრულწლოვნის გათხოვება შეძლებულ „კარგ კანდიდატურაზე“ ?* 60%-მა უპასუხა, რომ ბავშვის თანხმობის შემთხვევაში ეს არ იქნება გაუმართლებელი ქმედება.

იგივე კითხვა დასმული იქნა არასრულწლოვან დაუოჯახებელი ბავშვების ჯგუფში, რომელთა სრულმა უმრავლესობამ (100%) გაუმართლებლად მიიჩნია დაოჯახება მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. კვლევისას რესპოდენტები ხშირად ხაზს უსვამდნენ – ***არასრულწლოვნის სურვილსა და მშობლის მიერ კანდიდატურის შემოთავაზებისას არასრულწლოვნის თანხმობაზე.*** არასრულწლოვნის ფსიქოლოგიურ მზაობასა და გააზრებულ თანხმობაზე გავესაუბრეთ ფსიქოლოგს. მისი თქმით, ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვნის თანხმობა მისი მშობელზე *ფსიქოლოგიური დამოკიდებულებით* არის განპირობებული. უმეტეს შემთხვევაში მათი „ თანხმობა ‘’ არ არის გააზრებული და მშობლის შეთავაზება შეიძლება ჩაითვალოს ფსიქოლოგიურ ზეწოლად, როგორც ძალადობის ერთ–ერთი ფორმად.

ბ) ქორწინება ტრადიციებიდან გამომდინარე

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ქვეყნის კანონმდებლობაში ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტსა და ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციაში

პირდაპირაა გაწერილი, რომ დაქორწინებისას აუცილებელია ორივე მხარის თანხმობა, მესამე პირთა ჩარევა და ადამიანის თავისუფალი ნების წინააღმდეგ მოქმედება, კი წარმოადგენს საერთაშორისო აღიარებული ადამიანის უფლებების დარღვევას , კვლავ გრძელდება აკვნიდან დანიშვნის ტრადიცია.

> სოფელში 15 წლის გოგონას, რომელიც აკვნიდან დანიშნული იყო შეუყვარდა თანაკლასელი ბიჭი. არასასურველი ქორწინების თავიდან აცილების მიზნით იგი სახლიდან გაიქცა. მშობლებმა არასრულწლოვანი ბებიასთან დამალული იპოვეს და იძულებით გაათხოვეს. (თამარი 16 წლის)

ტრადიციები პერიოდულად იცვლებოდა და დღევანდელ რეალობაში რთული წარმოსადგენია ისეთი ტრადიციის არსებობა, როგორიცაა მაგ. აკვნიდან დანიშვნა. საუკუნეების წინ ერთმანეთისადმი მეგობრულად განწყობილი მშობლები დანათესავების სურვილით ნიშნავდნენ უკვე მოზრდილ ბავშვებსაც. ეს ქმედება ხშირ შემთხვევაში იყო სისხლისღვრისა და პიროვნული დაპირისპირების საბაბიც.

ახალციხის რაიონში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ აკვნიდან დანიშვნის ტრადიცია კვლავ გრძელდება ქვეყნის პერიფერიულ ადგილებში, განსაკუთრებით კი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში.

პრობლემის აქტუალურობას განაპირობებს ტრადიციებსა და კანონს შორის არსებული კონფლიქტი, რაც გამოხატულია იმით, რომ უფლებადამცველი ორგანოები თავს არიდებენ ოჯახურ კონფლიქტში უშუალო ჩარევას. მათ არ სურთ დაუპირისპირდნენ ტრადიციებს და ” დაანგრიონ ოჯახი”. ისინი ვერ იცავენ ბავშვებს ისეთი მანკიერი ტრადიციებისგან, როგორიცაა მაგალითად ზემოთ ხსენებული და თავიანთი უმოქმედობით ხელს უწყობენ ბავშვთა მთელი რიგი ფუნდამეტური უფლებების დარღვევას.

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფოების ვალდებულებები მოიცავს: 18 წლამდე გოგონების ქორწინების პრევენციის უზრუნველყოფას და ქორწინების დასაშვებობას მხოლოდ საკუთარი, გააზრებული თანხმობით და მოუწოდა სახელმწიფოებს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებით მოახდინონ ადრეული ქორწინების პრევენცია. აღნიშნულ პრობლემას ასევე გამოეხმაურა კომიტეტი ძალადობის წინააღმდეგ (CAT) და მიუთითა, რომ სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ეფექტური რეფორმები ადამიანთა უფლებების რეალიზებისა[3] და ძალადობის ფაქტების აღმოფხვრის კუთხით, რადგან ქორწინება, სადაც თანხმობა მოცემულია მეურვის მიერ, და არა პირადი სურვილით, შეიძლება ჩაითვალოს ისეთივე ძალადობად როგორიცაა არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა. [4]

ადრეულ ქორწინებაზე ასევე ყურადღებას ამახვილებენ ისეთი საერთაშორისო კონვენციები, ხელშეკრულებები და პროგრამები, როგორებიცაა:

- კონვენცია ქორწინებაზე თანხმობის, მინიმალური საქორწინო ასაკისა და ქორწინების რეგისტრაციის შესახებ (1962) ;
- კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979);

3 Human Rights Committee, *General Comment No. 28: (Article 3) The equality of rights between men and women* (68th Sess., 2000), *in* Compilation of General Comments and General Recommendations Adopted by Human Rights Treaty Bodies, at 233, para. 23, U.N. Doc. HRI/GEN/1/Rev.9 (Vol. I) (2008)

4 Committee against Torture, (CAT Committee), *Concluding Observations: Yemen*, para. 31, U.N. Doc. CAT/C/YEM/CO/2 (2010).

- ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989) და პეკინის პლატფორმის სამოქმედო გეგმას (1995), რომელიც ერთვის გაეროს ქალთა მეოთხე საერთაშორისო კონფერენციას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ადრეულ ქორწინებას არ აქვს დათმობილი ცალკე მუხლი, თუმცა საერთო შინაარსიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ქორწინება შეიძლება დაკანონდეს იმ შემთხვევაშიც, თუ პირი 18 წელს მიუღწეველია[5]. ამის შედეგადად ვღებულობთ იმას, რომ ადრეულ ქორწინებაში მყოფი გოგონები ხშირად რჩებიან განათლების გარეშე და იმყოფებიან ოჯახური ძალადობის ან/და სექსუალური ზეწოლის გაზრდილი საფრთხის ქვეშ.

ნაადრევ ქორწინებაში მყოფი ქალების გამოცდილება აჩვენებს, რომ ისინი არიან ერთგვარი ზეწოლის ქვეშ. ხშირ შემემთხვევაში მათ ელახებათ ოჯახის დაგეგმვის უფლება და იძულებულები ხდებიან დაორსულდნენ რაც შეიძლება მალე, რათა გაამართლონ საზოგადოებისა და ოჯახის მოლოდინი. კვლევების ფარგლებში გამოკითხულ გინეკოლოგთა თქმით, ხშირია შემთხვევები როდესაც გინეკოლოგთან კონსულტაციაზე დედამთილის ინიციატივით მიდიან არასრულწლოვნები, განსაკუთრებით დაორსულებასთან დაკავშირებული კონსულტაციის მიზნით. აღნიშნული საკითხი სწორედ რომ პრობლემას წარმოადგენს, რადგან ამით ***ირღვევა მთელი რიგი სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები, როგორც ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილი.***

'' ძირითადად, გოგონები ქორწინების შემდგომ მოჰყავთ დედამთილებს, რათა გამოიკვლიონ უშვილო ხომ არ არის არასრულწლოვანი. მქონია შემთხვევები, როცა ჩემი და პაციენტის სურვილი იყო ცალკე, დამსწრეთა გარეშე გავსაუბრებოდით ერთმანეთს, მაგრამ დედამთილს არ მოუცია ცალკე დატოვების საშუალება"(გინეკოლოგი)

5https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31702&lang=ge
- სამოქალაქოკოდექსი, მუხლი 1108

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მოცემული საკითხის რეგულირებას. ადმინისტრაციული სამართლის 172-ე მუხლის თანახმად "ბავშვის აღზრდისა და სწავლების მოვალეობის შეუსრულებლობა" გამოიწვევს მშობლების გაფრთხილებას ან დაჯარიმებას. მიუხედავად ამისა, ამ ნორმის პრაქტიკაში გამოყენება არ ხდება.[6]

საკანონმდებლო წესის დანიშნულება პრობლემის მოგვარების აუცილებელი პირობაა. თუმცა, მხოლოდ არსებობა ვერ მოახდენს საკითხის პრევენციას. აუცლებელია, სახელმწიფომ განახორციელოს ამ წესის მოქმედებისა და აღსრულების კონტროლი.

მოზარდთა ჯანმრთელობა და რეპროდუქცია

ადრეული ქორწინება განსაკუთრებულ საფრთხეს და პრობლემას უქმნის მოზართდა ჯანმრთელობას და მათ რეპროდუქციას. როგორც გინეკოლოგმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, არასრულწლოვანებს არ გააჩნიათ ფიზიკური მზაობა დაოჯახებისათვის. განსაკუთრებული საფრთხე კი, ადრეული ორსულობიდან და სქესობრივი ცხორებიდან მომდინარეობს.

1. ორსულობა და მშობიარობა

ქორწინებისთანავე დაორსულება ხშირად საფრთხეს უქმნის როგორც დედის, ისე ბავშვის სიცოცხლესა თუ ჯანმრთელობას. შესაძლოა, ორსულობა და მშობიარობა გართულდეს, რადგან მათი ორგანიზმი ჯერ არ არის მზად ბავშვის გაჩენისათვის.

ადრეულ ასაკში დაოჯახებული არასრულწლოვნები, ხშირად დედამთილის ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან და, მათი არაპირდაპირი თუ

6 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კ ო დ ე ქ ს ი https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=28216&lang=ge

პირდაპირი ჩარევით, იძულებულები ხდებიან ქორწინებისთანავე გააჩინონ ბავშვი. ადრეულ ასაკში ორსულობა მათ და ნაყოფის ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

1. კონტრაცეპტივებზე ხელმისაწვდომობა

რეპროდუქციულ ჯანმრთელობის სფეროში ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარადგენს კონტრაცეპტივებზე ხელმისაწვდომობა, ფასი, არჩევანი, ინფორმირებულობა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის გათვლებით, მსოფლიოში 220 მილიონამდე ქალის უფლებათა დარღვევა ხდება სწორედ ამ პრინციპების უგულებელყოფით, და მათ არ მიუწვდებათ ხელი კონტრაცეფციის თანამედროვე საშუალებებზე.[7]

აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია უნარ შეზღუდულ, აივ ინფიცირებულ, იძულებით გადაადგილებულ თუ რაიონებში მცხოვრებ სხვა ფერტილური ასაკის ქალებში.

კვლევის ფარგლებში რესპოდენტებს დაესვათ კითხვა, თუ კონტრაცეფციის რომელ მეთოდს იყენებდნენ ყველაზე ხშირად. რესპოდენტთა სრულმა უმრავლესობამ გამორიცხა აბები, რადგან მათი თქმით ეს მათი ორგანიზმისთვის სახიფათოა, ხოლო კალენდარული მეთოდი და კონდომი ყველაზე უსაფთხო საშუალებებად დაასახელეს.

კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ რაიონში მაღალია არაუსაფრთხო მეთოდებით გაკეთებული აბორტების მაჩვენებელი.

ჯამში 12 აბორტი მაქვს გაკეთებული (თამარი 26 წლის)

მსოფლი ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით ყოველწლიურად დაახლოებით 22 მილიონი აბორტი კეთდება უსაფრთხოების წესების დაუცველად, რის შედეგადაც დაახლოებით 47000 ქალი იღუპება, ხოლო

7 http://www.amerikiskhma.com/content/who-contraceptives-report/1870540.html

5 მილიონამდე კი - ინვალიდდება.[8] თითქმის ყოველი შემთხვევა, რომელმაც სიკვდილი და დაინვალიდება გამოიწვია, შესაძლოა თავიდან აცილებული ყოფილიყო სექსუალური განათლებით, ოჯახის დაგეგმარებით, უსაფრთხო, ლეგალურად აღიარებული აბორტის უზრუნველყოფითა და გართულებების პრევენციით.

უსახსრობის გამო ფერტილური ასაკის გოგონები ვერ დადიან გინეკოლოგთან და მას მხოლოდ აბორტის დროს მიმართავენ. ხშირ შემთხვევაში ეს იწვევს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას და მივყავართ ისეთ სერიოზულ პრობლემამდე როგორიცაა უნაყოფობა და სხვა რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემა.

სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვისა და უფლებების ძირითად პრობლემებს წარმოადგენს: რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვისა და უფლებების საკითხების მიმართ სახელმწიფოს პასიურობა, ოჯახის დაგეგმვის შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია, შესაბამისი საჭირო კონტრაცეპტივების არასაკმარისი რაოდენობა, ფერტილობის კონტროლი უმეტესად აბორტის საშუალებით, მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ დაცვისა და უფლებების პრიორიტეტულობისა და სათანადო განათლების არ ქონა.

[8] http://hera-youth.ge/wp-content/uploads/2014/02/Broshura.pdf

განათლება და ინფორმირებულობა

”რა საჭიროა რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სკოლიდან, ეს ყველაფერი მათ ჩემზე უკეთ იციან.” (35 წლის ბიოლოგიის მასწავლებელი)

საქართველოში განათლება რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე არ არის სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამის ნაწილი. სკოლის მაღალი კლასების ბიოლოგიისა და ანატომიის სახელმძღვანელოები მოიცავს რეპროდუქციული ბიოლოგიის ზოგიერთ ასპექტს, თუმცა პედაგოგები ხშირად გვერდს უვლიან ამ საკითხს და თავს არიდებენ ინფორმაციის მიწოდებას. ამ ყველაფრის გათვალისწინებით კი, ბავშვებს ეზღუდებათ ***ინფორმაციისა და განათლების მიღების უფლება.***

გამოკითხულ რესპოდენტთა 80%-ის თქმით ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციისათვის აუცილებელია გატარდეს სასკოლო რეფორმა, რათა ბავშვებმა გააცნობიერონ ადრეული ქორწინების შედეგად მოსალოდნელი ჯანმრთელობის პრობლემები.

განათლების საკითხთან დაკავშირებით გამოიკვეთა ორი ძირითადი საკითხი :

1) ქორწინების შედეგად შეწყვეტილი განათლება.

2) რეპროდუქციული ჯანმრთელობა, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი.

პირველ შემთხვევაში პრობლემის სიმწვავე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით განსაკუთრებით პრობლემურია რაიონებში.

კვლევის ფარგლებში დაოჯახებულ არასრულწლოვანთა უმრავლესობამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მათ განათლების მიღების დიდი სურვილი ჰქონდათ, მაგრამ ეს ფაქტობრივად შეუძლებელი იყო მათთვის.

“ ახა როგორ ვისწავლიდი?! ბავშვი მყავდა გასაზრდელი და ოჯახისთვის ხომ უნდა მიმეხედა (X, 28 წლის)

არასრულწლოვნები განათლების მიღების გაგრძელებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით ვეღარ ახერხებენ, თუმცა შედეგი ყველა შემთხვევაში ერთია– ***შეწყვეტილი განათლება.***

კვლევის მიმდინარეობისას, ასევე გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც გულისხმობს საზოგადოების დამოკიდებულებას ადრეულ ასაკში დაოჯახებულ არასრულწლოვან გოგონათა მიმართ. როგორც რესპოდენტებმა ჩვენთან საუბარში აღნიშნეს ხშირ შემთხვევაში მათ მიმართ მიმართულია ისეთი ნეგატიური რეპლიკები როგორიცაა „ რა ეჩქარებოდა“, „ ამისი გაზრდილი შვილი რა იქნება“ , „ უნდოდა გათხოვება და იწვალოს ახლა“ და ა.შ

„გათხოვილი სკოლის მოსწავლე მოვიდა სკოლაში შეღებილი და ვუთხარით, თუ გინდა სწავლა, იარე როგორც მოსწავლეს შეეფერება თუ არა, საერთოდ ნუ მოხვალთქო. ““- ახალციხის ერთ-ერთი სოფლის სკოლის მასწავლებელი.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება არასრულწლოვან გოგონათა სტიგმა/დისკრიმინაცია საზოგადოების მხრიდან .

ზემოთ ხსენებული თითოეული პრობლემის ამოსავალი წერტილი არის არაინფორმირებულობა და სათანადო განათლების არ ქონა. რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ არამხოლოდ არასრულწლოვანების ინფორმირებულობაა აუცილებელი, არამედ საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საჯარო ტრენინგების გამართვა მშობელთა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებისათვის.

ყველას აქვს უფლება იქონიოს საკუთარი მოსაზრება თითოეული საკითხის მიმართ, მაგრამ არ აქვს უფლება თავისი უარყოფითი დამოკიდებულებით შელახოს სხვისი ***განათლების, არჩევანის , თავისუფლებისა თუ ადამიანის სხვა ძირითადი უფლებები.***

განათლება უშუალოდ უკავშირდება ჯანმრთელობას. როდესაც მოზარდებში არ არსებობს ინფორმაცია სქესობრივი განათლებაზე, არ იციან როგორ მოიქცნენ დაუგეგმავი ორსულობის დროს, როდის მიმართონ ექიმს, ეს თავის მხრივ ქმნის სხვა სერიოზულ პრობლემებს.

„როგორც წესი, ადრეული ქორწინების დროს გოგონას პარტნიორი უფრო დიდია, მეტი სქესობრივი გამოცდილება აქვს და შესაბამისად დიდია რისკი სხვადასხვა ინფექციური დაავადებით გოგონას დასნებოვნების. მათი აღმოჩენა ხშირად ორსულობის პერიოდში ხდება, რის შემდეგაც ხდება სანაყოფე გარსების დაინფიცირება, საშვილოსნოს ანთება, იშვიათად სეფსისი და ა.შ დაუგეგმავ ორსულობას თან ახლავს სტრესიც.“ (გინეკოლოგი)

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ნაადრევ ქორწინებაში მყოფ პირთა უმრავლესობა (განსაკუთრებით პერიფერიულ ადგილებში) დაოჯახებამდე არ ფლობს არანაირ ინფორმაციას რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ოჯახის დაგეგმვის შესახებ. ახალგაზრდები ცნობიერების ამაღლებისათვის მიმართავენ სხვადასხვა წყაროებს, როგორიცაა: ტელევიზია, მედია,ინტერნეტი და სხვ.

კვლევის ბოლოს დასმულ კითხვაზე : „როგორ შეაფასებდით ადრეულ ქორწინებას?“

A) დადებითად B) უარყოფითად

“კი აქვს ბევრი უარყოფითი, მაგრამ ნაადრევი ყველაფერი კარგია სიკვდილის გარდა. აბა ისაა კარგი მე ჩემი შვილისთვის ბებერი დედა რომ ვარ?!“ მშობელი 50 წლის

პასუხები განსხვავებული აღმოჩნდა ფოკუს ჯგუფების გათვალისწინებით.

მშობლების 60% – ადრეულ ქორწინებას დადებითად აფასებს.
ადრეულ ასაკში დაოჯახებულთა 80% – უარყოფითად.
ახალგაზრდა დაუოჯახებელი გოგონების 90 % – უარყოფითად.

კვლევის ფარგლებში ჩატარებულ იქნა ქუჩის გამოკითხვა. რესპოდენტებს დაესვათ შეკითხვა, თუ „ბოლო პერიოდში, რამდენად ხშირია ადრეული ქორწინების შემთხვევები მათ რაიონში?“ გამოკითხული **7 – ქართველი** და **8 – ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი** რესპოდენტიდან 13–მა ადრეული ქორწინების მაღალი მაჩვენებელი დააფიქსირა, მათგან 8 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი გახლდათ.

დასკვნა

კვლევამ, რომელიც ქვეყნის მხოლოდ ერთი რაიონი მოიცვა, აჩვენა რომ ადრეული ქორწინების პრობლემა აქტუალურია როგორც ქალაქში, ისე პერიფერიულ ადგილებში. გამოკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემატური საკითხები და პრობლემური ჯგუფები. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ეთნიკურ უმცირესობებში, პერიფერიულ ადგილებსა და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებში. ფაქტია, რომ მატერიალური სიდუხჭირის ზღვარზე მყოფ გოგონებისთვის ქორწინება ერთგვარ „თავის დაღწევის“ საშუალებას წარმოადგენს.
პრობლემაა არსებული მანკიერი ტრადიციები, რომელთა „ პატივისცემის“ მოტივით საზოგადოება თუ სახელმწიფო ნეიტრალურ პოზიციაზე გვევლინებიან.

ქვეყანაში გაბატონებულია მავნე პრაქტიკა – ***ქორწინება სქესობრივი კავშირის დამყარების სურვილით.***
არასრულწლოვნები ქორწინდებიან სოციალური სტიგმის თავიდან აცილების მიზნით, რათა კანონიერი გახადონ თავიანთი ორსულობა და აირიდონ საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება.
კვლევის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა ადრეულ ასაკში დაოჯახებულთა განათლების პრობლემა. დაოჯახების შემდეგ ვერ ხერხდება სრულფასოვანი ცოდნის მიღება და არასრულწლოვნები ხდებიან ხელოვნურად შეწყვეტილი განათლების მსხვერპლნი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე , რათა მოხდეს სახელმწიფოში წლების განმავლობაში დანერგილი მანკიერი ტრადიციებისა და სტერეოტიპების აღმოფხვრა საჭიროა სახელმწიფოს მიეცეს რეკომენდაციები. ასოციაცია "ჰერა XXI" სახელმწიფოს სთავაზობს შემდეგ რეკომენდაციებს:

რეკომენდაციები:

- ✓ *შემუშავდეს საკომუნიკაციო/საგანმანათლებლო სტრატეგია და დაინერგოს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ყოვლისმომცველი საგანმანათლებლო პროგრამა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.*

- ✓ *ადრეულ ქორწინებასა და ქალთა უფლებებზე საერთაშორისო/ეროვნული კანონმდებლობის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდეს კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავს კონტროლის მარეგულირებელი მექანიზმებს და რეზულტატზე ორიენტირებულ სამუშაო პოლიტიკას. შეიცვალოს სამოქალაქო კოდექსში ქორწინების პირობები და*

ადრეულ ასაკში ქორწინება არ დაკანონდეს 18 წლამდე (გამონაკლისი შემთხვევა ფეხმძიმობა)

- ✓ *ჯანდაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს ახალი სტრატეგია და მის ფარგლებში შექმნას რეაგირების მექანიზმი, რათა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით აღებული ვალდებულებების შესრულება რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში: მოხდეს ოჯახის დაგეგმვის სერვისების განვითარება, ნეგატიური ტენდენციების პრევენცია, როგორიცაა სელექციური აბორტი, ადრეულ ასაკში ქორწინება და ა.შ. მოაწესრიგოს ინტერესთა კონფლიქტი.*

ცხრილი 1: ქორწინებათა რიცხვი ასაკის მიხედვით (2012)

სულ ქორწინებათა რიცხვი	ქალის ასაკი		მამაკაცის ასაკი	
	16 წლამდე	16-19	16 წლამდე	16-19
30 412	–	4137 (14%)	–	842 (3%)

ცხრილი 2 : 15-19 წლის ასაკში დაქორწინებული გოგონების რიცხვი განათლების მიხედვით (2005) (ბიჭების შესახებ მონაცემები მისაწვდომი არ არის)

განათლების დონე	15-19 წლის დაქორწინებული ქალების %
დაწყებითი	34.0
არასრული საშუალო ან საშუალო	7.1
არანაირი განათლება	49.1

[9]

[9] საქართველო - ადრეული ქორწინება , კვლევა (UNFPA)
http://www.calameo.com/books/000713529423e3af16ad7

კვლევა მომზადებულია:

ასოციაცია "ჰერა XXI" -ის აღმასრულებელი დირექტორის - ნინო წულეისკირისა და „სექსუალური და რეპოდუქციული უფლებების შესახებ“ პროექტზე პასუხისმგებელი პირის - მარიკა ჯობავას მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის 2011-2015 წწ. სახელმწიფო სტრატეგია http://www.moh.gov.ge/index.php?sec_id=185&lang_id=GEO

2. საქართველო - ადრეული ქორწინება , კვლევა (UNFPA) http://www.calameo.com/books/000713529423e3af16ad7

3. საქართველოში ახალშობილთა სქესის ბუნებრივი ბალანსის დარღვევის სოციალური და გენდერული ასპექტები – კვლევა (ასოციაცია „ჰერა XXI'') http://hera-youth.ge/wp-content/uploads/2014/01/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90.pdf

4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კ ო დ ე ქ ს ი https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=28216&lang=ge

საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ

5. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=29980&lang=ge

6. მითები და ცრურწმენები ,კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდების შესახებ საქართველოს რეგიონებში (ასოციაცია „ჰერა XXI'')

7. http://hera-youth.ge/wp-content/uploads/2014/01/A4-Broshura-+2mm-Bleed.pdf

8. ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში -

9. http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/86.pdf (2012)

10. http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf (2013)

11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

12. http://www.geostat.ge/

13. Human Rights Committee, *Concluding Observations: Monaco*, para. 12, U.N. Doc. CCPR/CO/72/MCO (2001); *Uganda*, para. 23, U.N. Doc. CCPR/CO/80/UGA (2004).

14. Human Rights Committee, *General Comment No. 28: (Article 3) The equality of rights between men and women* (68th Sess., 2000), *in* Compilation of General Comments and General Recommendations Adopted by Human Rights Treaty Bodies, at 233, para. 23, U.N. Doc. HRI/GEN/1/Rev.9 (Vol. I) (2008)

15. Committee against Torture, (CAT Committee), *Concluding Observations: Yemen*, para. 31, U.N. Doc. CAT/C/YEM/CO/2 (2010).